თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №2ბ/5649-15 **9 მარტი, 2016 წელი**

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი,
მოსამართლეები - გოდერძი გიორგიშვილი, ბესარიონ ტაბაღუა

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე
კერძო საჩივრის ავტორი – სს „თ. ბ.“
წარმომადგენელი - ა. ჩ.
გასაჩივრებული განჩინება – გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ
კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.
გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინებით, სს „თ. ბ.-ს“ (ს/ნ XXXXXXXXX) სარჩელი ბ. ვ.-ს (პირადი NXXXXXXXXXXX) მიმართ დარჩა განუხილველი (ტ.1. ს.ფ. 31-33).
პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მოპასუხის მიერ მოსარჩელისგან საკრედიტო ვალდებულებების აღების, ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებიდან, საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებიდან ხელშეკრულების შესრულების ადგილი არ ჩანს. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელს რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულების შეთანხმების ადგილის შესახებ, არ ერთვის.

სასამართლომ სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინებაში ასევე განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, გორის რაიონული სასამართლო განსჯად სასამართლოს არ წარმოადგენს, რის გამოც სს „თ. ბ.-მ“ წარმოდგენილი სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს უნდა მიმართოს.
მითითებულ განჩინებაზე 2015 წლის 20 ოქტომბერს სს „თ. ბ.-ს“ წარმომადგენელმა, ა. ჩ.-მ კერძო საჩივარი წარადგინა, რითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა (ტ.1. ს.ფ. 35-36).

პალატა გაეცნო კერძო საჩივარს, თანდართულ მასალებს, ასევე გასაჩივრებულ განჩინებას და საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.
ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით. თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია.
ნორმა სუბსიდურ რეგულირებას შეიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი 386-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, **როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილის სხვა გზით დადგენა შეუძლებელია**. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის წყაროები შეიძლება იყოს ხელშეკრულება, კანონი, ასევე შესასრულებელი ვალდებულების ბუნება და ა. შ. შესაბამისად, თუ არც ერთი ჩამოთვლილი წყაროდან არ ირკვევა ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი, ასეთ შემთხვევაში სუბსიდური წყარო გამოიყენება.
განსახილველ შემთხვევაში, მოვალემ - ბ. ვ.-მ, რომლის რეგისტრაციის მისამართი და ფაქტობრივი ადგილსამყოფელია გორის რაიონის სოფელი ვ., სს „თ. ბ.-ს“ გორის ფილიალის NX სერვისცენტრში „განაცხადი განვადებაზე“ გააკეთა და საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება გააფორმა. ამასთან, 2013 წლის 7 ივნისის საკრედიტო ბარათის (პრაიმ ქარდის) ხელშეკრულებიდან ნათლად ჩანს, რომ **მოპასუხემ ხელშეკრულებაში მისამართად - „ქალაქი გორი, სოფელი ვ.“ მიუთითა.** ხელშეკრულება, რომ სს „თ. ბ.-ს“ გორის ფილიალის NX სერვისცენტრში დაიდო, „განაცხადიდან განვადებაზე“ ჩანს, სადაც გორის სერვის ცენტრია მითითებული (ტ.1. ს.ფ. 16,17). ამდენად, ის, რომ აღნიშნული **ხელშეკრულება სს „თ. ბ.-ს“ გორის ფილიალში დაიდო, უტყუარად არის დადგენილი.**
პალატა ასევე განმარტავს, რომ შესრულების დაგილის დადგენისა და, შესაბამისად, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებაა - ხელშეკრულების დადების ადგილი, მოსარჩელისა და მოპასუხის რეგისტრაციის მისამართი და ფაქტობრივი

ადგილსამყოფელი, ხელშეკრულების ფაქტობრივი შესრულების ადგილი - ანუ მოპასუხე სესხთან დაკავშირებულ ტრანზსაქციებს სად ახორციელებდა და სხვა.
საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მოპასუხის რეგისტრაციის მისამართი და ფაქტობრივი ადგილსამყოფელი გორის რაიონის სოფელი ვ., ხოლო მოპასუხის მიერ სესხი სს „თ. ბ.-ს“ გორის ფილიალშია აღებული, შესაბამისად, სესხთან დაკავშირებული ტრანზსაქციებიც გორში ხორციელდებოდა, სადაც სს „თ. ბ.-ს“ სერვის ცენტრებია განთავსებული.
პალატა ვერ გაიზიარებს გორის რაიონული სასამართლოს პოზიციას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:
აღნიშნული მუხლით ურთიერთობის დარეგულირება მხოლოდ იმ შემთხვევებში უნდა მოხდეს, როდესაც ფულადი ვალდებულებების შესრულების ადგილი საეჭვოა. მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც მოპასუხის საცხოვრებელ, ასევე ხელშეკრულების დადების და ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილს ქალაქი გორი წარმოადგენს, რაც ცალსახად და არაორაზროვნად დასტურდება, შესაბამისად, სს „თ. ბ.-სა“ და პ. ვ.-ს შორის წარმოშობილი დავის განმხილველი განსჯადი სასამართლო - გორის რაიონული სასამართლოა.
ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში **სასამართელო სამართალწარმოების მიზნებისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, ასევე ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპის მხედველობაში მიღებით,** სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება უნდა გაუქმდეს და პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დასაშვებობაზე ხელახლა უნდა იმსჯელოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სს „თ. ბ.-ს“ წარმომადგენლის, ა. ჩ.-ს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ უნდა გაუქმდეს და საქმე სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე15, მე-16, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. სს „თ. ბ.-ს“ წარმომადგენლის, ა. ჩ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე კოლეგიას;

3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები ზესარიონ ტაბაღუა

გოდერძი გიორგიშვილი